დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33

2022 წლის 8 დეკემბერი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის № 3-14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/02/2011; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: (020080000.35.156.016044) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1.1 დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის № 3-14 დადგენილებაში დაემატოს მე-6^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 6^1. დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის სააღსრულებლო ფურცლის ფორმა დანართი N6- ის შესაბამისად“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ყულიაშვილი

დანართი N6

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეული

ს ა ა ღ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

„ _____“ 20__ წელი ქ. დმანისი

(სამართალდამრღვევის დაჯარიმების ან/და სამართალდამრღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ ბრძანების შემდგენი)

სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანების №_____ და შედგენის თარიღი _____/_____/_____

(დღე) (თვე) (წელი)

ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი:

_____
_____

_____

_____

არსებობის შემთხვევაში სამართალდამრღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების №_____ და შედგენის თარიღი
_____/_____/_____

(დღე) (თვე) (წელი)

ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი:

_____
_____

_____

_____

_____

(კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები)

_____

(მოვალის დასახელება და რეკვიზიტები)

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი: _____/_____/_____

(დღე) (თვე) (წელი)

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი: _____